ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N59

2022 წლის 11 ოქტომბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები, თანახმად დანართისა, შემდგომში ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაცემის მიზნით;

2.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

დანართი 1

N	უძრავი ქონების დასახელება	უძრავი ქონების მისამართი	საკადასტრო კოდი	შენობა-ნაგებობის ფართი (კვ/მ)	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)
1	სოფელ ჩაისუბნის ამბულატორია	ქობულეთი, სოფელი ჩაისუბანი	20.49.01.010	121,2	91
2	სოფელ ქობულეთის ამბულატორია	ქობულეთი, სოფელ ქობულეთი	20.40.01.017	173,3	646
3	სოფელ ქაქუთის ამბულატორია	ქობულეთი, სოფელი ქაქუთი	20.31.01.017	145	378
4	სოფელ ხალას ამბულატორია	ქობულეთი, სოფელი ხალა	20.50.01.112	259	595
5	სოფელ საჩინოს ამბულატორია	ქობულეთი, სოფელი საჩინო	20.47.01.042	288	478
6	სოფელ ბობოყვათის ამბულატორია	ქობულეთი, სოფელი ბობოყვათი	20.44.01.022	467,4	1177
7	სოფელ კვირიკის ამბულატორია	ქობულეთი, სოფელი კვირიკე	20.43.03.008	245,5	666
8	სოფელ ციხისძირის ამბულატორია	ქობულეთი, სოფელი ციხისძირი	20.46.03.012	224,1	635
9	დაბა ოჩხამურის ამბულატორია	ქობულეთი, დაბა ოჩხამური	20.37.02.089	235,4	621
10	სოფელ ხუცუბნის ამბულატორია	ქობულეთი, სოფელი ხუცუბანი	20.39.04.043	187,7	375